ისევ თითო ქულა

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 29 ოქტომბერი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:0).

“ლოკომოტივი”: შეხოვი, ბასალაევი, როდიონოვი, უსატორე, ზაიცევი, მიხაილოვი, შელუდკო, ალექსანდროვი, კოხი (ცეიტინი), ორეშნიკოვი, კოროტკოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, კანთელაძე, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ასათიანი კუტივაძე, იამანიძე, დათუნაშვილი (ნოდია), გავაშელი, მესხი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

მოსკოვის “ლოკომოტივმა” მეორე წრეში 3 მატჩი მოიგო და ამდენივე ფრედ დაამთავრა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გუნდს საიმედო გარანტია შეექმნა სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად. ლოკომოტიველებისთვის ახლა ყოველი მატჩი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, თითოეულ ქულას მათთვის ოქროს ფასი აქვს.

ამიტომ იყო, რომ მოსკოველებმა მაქსიმალური მონდომებით, მთელი შესაძლებლობებით დაიწყეს თამაში. ტაიმის მეტი ნაწილი მათი უპირატესობით მიმდინარეობდა ფორვარდები ხშირად უტევდნენ “დინამოს” კარს და ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. მიმდინარეობდა მატჩის 28-ე წუთი, როცა მასპიინძელთა საუკეთესო ბომბარდირმა კოხმა გამოიყენა მოპირდაპირე კართან შექმნილი მდგომარეობა და გაგზავნა ბურთი კოტრიკაძის კარში _ 1:0.

თითქმის მთლიანად შეიცვალა მდგომარეობა შესვენების შემდეგ. ინიციატივამ გადაინაცვლა დინამოელთა მხარეს, რომლებიც სულ უფრო აძლიერებდნენ იერიშებს და აიძულებდნენ “ლოკომოტივს” მოთამაშეთა გაძლიერებული რაოდენობით დაეცვა თავი.

74-ე წუთზე შორეული შეტევა წამოიწყო სიჭინავამ. მან თითქმის მთელი მინდორი გაიარა, მაგრამ ერთ-ერთმა მცველმა იგი უხეშად წააქცია. კუტივაძის მიერ დიდი სიძლიერით და ზუსტად გარტყმული ბურთი შეხოვმა გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. მესხმა მარცხენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური, ბურთი ისევ მოიგერია მეკარემ, მაგრამ მას მიუსწრო ასათიანმა და გაქვითა ანგარიში _ 1:1. ისევე, როგორც პირველ წრეში, გუნდებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

***

ძალზე ცუდად ითამაშეს თბილისის “დინამოს” დუბლიორებმა. მათ დამარცხება განიცადეს დიდი ანგარიშით _ 0:6.

“ლელო”, 31 ოქტომბერი, 1967 წ.